KA040113708790121

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 130/სა **26 / აპრილი / 2021 წ.**

ბრძანება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ამავე კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წლიური სამოქმედო გეგმა, დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ქარდავა

<table>
<tr><td colspan="4">ლოგიკური ჩარჩო</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.</td><td colspan="3">საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისათვის შშმ პირების სტატუსის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესის ხელშეწყობა</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.</td><td colspan="3">საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომლებისათვის შშმ პირების უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">შედეგის ინდიკატორი:
ტრენინგს გაიარა საჯარო სამსახურის ბიუროს სულ მცირე 25 თანამშრომელმა</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>პარტნიორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td></td><td>პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა</td><td>-</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.2.</td><td colspan="3">საჯარო მოხელეთა ფორუმების ჩატარება საჯარო სამსახურში შშმ პირების უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">შედეგის ინდიკატორი:
ჩატარებულია მოხელეთა სულ მცირე ორი (2) ფორუმი</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>პარტნიორი ორგანიზაცია</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული ხარჯი</td><td></td><td>-</td></tr>
<tr><td></td><td colspan="3">პარტნიორი უწყება:</td></tr>
<tr><td>ამოცანა 2.</td><td colspan="3">შშმ პირების უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს სერვისების შესაბამისი ადაპტირების ხელშეწყობა</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.1.</td><td colspan="3">საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის - hr.gov.ge - შშმ პირებზე ადაპტირებისათვის საჭიროებების განსაზღვრა</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td rowspan="2">ბიუროს ვებ-გვერდი შეფასებულია შშმ პირთა</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>სახელმწიფო ბიუჯეტი</td><td>პარტნიორი</td><td>დეფიციტი</td></tr>
</table>

	საჭიროებებზე მორგებულობის თვალსაზრისით. ვებ-გვერდის ადაპტაციის გეგმა შედგენილია		ორგანიზაცია	
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	-
	პარტნიორი უწყება:			
ამოცანა 3.	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება			
აქტივობა 3.2.	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა			
	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემურ საკითხებზე კვლევა ჩატარებულია; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავალილია	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	-
	პარტნიორი უწყება: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური			
აქტივობა 2.3.	საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების შესახებ ინფორამციის შეგროვების სისტემის გაუმჯობესება			
	მომზადებულია რეკომენდაციები საჯარო სამსახურში დასაქმებული შშმ პირების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებით. მათ შორის	**დაფინანსების წყარო**		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	პარტნიორი ორგანიზაცია	დეფიციტი
			პარტნიორი უწყების დონორული მხარდაჭერა	

	პერსონალური მონაცემების სტანდარტების დაცვით საჯარო სექტორში დასაქმებული პირების შშმ სტატუსის შესახებ ინფორმაციის მოძიების მიმართულებით.			
	პარტნიორი უწყება: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური			